



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიმიტრი ქარსელაძე

წევრები:

იზოლდა ჭინჭარაშვილი

ხატია კაჭარავა

ეთერ ბოკელავაძე

ნათია ქათამაძე

მორის გუმბარიძე

ნანა კუნჭულია

ინგა დარსაველიძე

მაკა ყიფშიძე

საბა დარსაველიძე

ლანა კუჭავა

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229728916

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის, სოფელი ზედა ვანი
ფაქტობრივი მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი ზედა ვანი
საფოსტო ინდექსი	1900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Zedavani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 44 17 51

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრ. N 632163 06/06/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 8 და 9 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა ერთი შენობა
2.	ზოგადი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა ერთი შენობა
3.	ზოგადი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

teams-ის პლატფორმის საშუალებით, ჯგუფის თავმჯდომარე შეხვდა ჯგუფის წევრებს, სადაც იმსჯელეს სამუშაოს საორგანიზაციო საკითხებზე, ჩამოყალიბდა დღის წესრიგი, დაიგეგმა სამუშაო გრაფიკი, შეიქმნა სოციალური ჯგუფები. ჯგუფის წევრები გაეცნენ სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას. მეორე შეხვედრაზე შეავსეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის ფორმა და გადაიგზავნა იგი ცენტრში. სკოლამ კვლავ გადმოგზავნა დამატებითი დოკუმენტაცია, შემდეგ მოხდა მათი შესწავლა. ამ ხნის განმავლობაში სისტემატურად მიდიოდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია განსახილველ

საკითხებზე. ვიზიტის დროს შეხვედრა წარიმართა განრიგის მიხედვით. ონლაინ ჩაერთო ყველა საგნის ექსპერტი. დაწყებითი საგნების ექსპერტი ესწრებოდა ყველა დაწყებითი საგნების შეხვედრას, რის შემდეგაც დაცყებითის კლასებში შემსვლელ მასწავლებლებთან მოაწყო ცალკე შეხვედრა, გაეცნო დოკუმენტაციებს და გასცა რჩევები. კომუნიკაცია მიმდინარეობდა შეფერხების გარეშე და ექსპერტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია თითოეულ საგანში. თავმჯდომარე და ზოგადი მიმართულების ექსპერტი წარმართავდნენ პირისპირ შეხვედრებს ადმინისტრაციასთან და პერსონალთან. ვიზიტის ორივე დღის ბოლოს გაერთიანებულ შეხვედრებზე, ყველა ექსპერტისა და სკოლის პერსონალის მონაწილეობით, ექსპერტები აცნობდნენ ძირითად მიგნებებს. სკოლის მასწავლებლები და დირექცია იყვნენ მოტივირებულნი, დაინტერესებულნი და გარკვეულნი სკოლის საჭიროებებში. სკოლაში შექმნილი იყო თანამშრომლობითი ატმოსფერო, რაც დადებითად აისახებოდა საერთო სასკოლო კულტურაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 190	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით)	ა) რეკომენდირებულია მოიპოვოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების გათვალისწინებით. (19/04/2025-დან 19/04/2025-მდე) ბ) რეკომენდირებულია მოიპოვოს ექსპერტიზის ბიუროს, შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, დასკვნა, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების გათვალისწინებით (04/03/2024 დან 04/03/2025-მდე) შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნებთან <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია.
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	რეკომენდებულია მოეწყოს სართულებს შორის გადაადგილებად ლიფტი ან აშწე (19/04/2024-დან 19/04/2026-მდე) შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნებთან <u>ნაწილობრივ</u> შესაბამისობაშია.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	რეკომენდებულია მოეწყოს სივრცე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და ისტის კაბინეტისათვის (1/02/2024-დან 1/02/2025-მდე) შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია.



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	რეკომენდებულია მოეწყოს ისტი-ს კაბინეტისათვის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის ცალკე ფართი. შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნები <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, გაწეროს დოკუმენტი, სადაც აღწერს მექანიზმს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების შესახებ.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს (საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო))	„ჩვენი საქართველოს“ მე-6 კლასის კომპლექსურ დავალებაში, რესურსისა და აქტივობის ველში მითითებულია საინტერესო და მნიშვნელოვანი რესურსები, თუმცა, არ ჩანს მკაფიოდ, რა აქტივობებს მიმართავენ მოცემულ რესურსებზე მუშაობის პროცესში. მნიშვნელოვანია, მიეთითოს და აქტივობების სახით გაიწეროს ყველა ის სამუშაო, რასაც მასწავლებელი და მოსწავლეები ახორციელებენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური (საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) კურიკულუმები) (საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები)	ისტორიის შეფასების ზოგად ანალიტიკურ რუბრიკაში არ ჩანს შეფასების რომელი ფორმის (განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი) რუბრიკაა (არ არის მოცემული არც ქულათა განაწილება და არც განმავითარებელი შეფასების ფორმულირება). ასევე, შეფასების ერთ- ერთი კომპონენტია - „პასუხისმგებლობა“ და იგი განსაზღვრულია შემდეგნაირად: დავალებული სამუშაოს ვადებში ჩაბარება და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. გასათვალისწინებელია ის, რომ მოსწავლეთა შეფასებისას, შეფასების ობიექტი უნდა იყოს მოზარდის არა პიროვნული მახასიათებელი/თვისება, არამედ შესრულებული სამუშაო. შესაბამისად, საჭიროა მოცემულ და მსგავსი ტიპის რუბრიკებში სიტყვა „პასუხისმგებლობა“ შეიცვალოს სხვა, შესაფასებელი აქტივობის გამომხატველი სიტყვებით (მაგ. დავალებისთვის განსაზღვრული ვადების დაცვა, ან სხვ.). ასევე, მნიშვნელოვანია, შეფასების თითოეული რუბრიკა იყოს მკაფიო და ჩანდეს, რომელ ფორმას იყენებს მასწავლებელი.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმში ადგილი აქვს ტექნიკურ უზუსტობებს, კერძოდ, კომპლექსური დავალების იდეები (I და II თემებში) მოცემულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების გრაფაში. საჭიროა გასწორდეს.



	(საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები)	
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (ტექნოლოგიების კურიკულუმი)	რჩევის სახით მინდა ვთქვა რომ 2-6 კლასის კურიკულუმებში სამიზნე ცნებებზე არ არის სრულად წარმოდგენილი დავალებები და კონტექსტ მაგალითები, რომელიც კარგი იქნება რომ სრულად იყოს წარმოდგენილი ახალ კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე (ტექნოლოგიების კურიკულუმი)	რჩევის სახით მინდა ვთქვა რომ კარგი იქნება თუ მასწავლებლები მოსწავლეებთან უკუკავშირისათვის გამოიყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს ან ფორმის მარტივ კითხვარს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს (უცხო ენა)	სკოლას მიეცა რჩევა რომ თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და სადაც გაცხადებულია ძირითადი მისია: სკოლამ აღზარდოს მოსწავლე-ახალგაზრდობა დემოკრატიულ და ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა, მის მიერ შემუშავებული მისიითა და ხედვით, ცდილობს გამოხატოს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემომ და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულმა სოციო-კულტურულმა სივრცემ. სკოლის მისიაში გაცხადებულია თანამშრომლობითი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი სასწავლო გარემოს შექმნა. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება ვიზიტის დროს ინტერვიუების დროს გადმოცემული ინფორმაციით, თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებლად სკოლას რაიმე სახის დოკუმენტაცია არ შეუქმნია. როგორც ინტერვიუს დროს აღწერეს, სკოლის მისიის და ხედვის შემუშავების დროს, სკოლაში შეიქმნა კომისია, რომელმაც პროექტი წარუდგინა კათედრებს და კლასის ხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განხილულია პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, ასევე მშობელთა კრებებზე. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
5. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე, ასევე გაფორმებულია ორიგინალურად და გამოკრულია სკოლის შესასვლელში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1 მისია, ხედვა, ღირებულებები. 1.1.1.1

დანართი N2 პედსაბჭოს ოქმი N1. 1.1.1.4

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;



2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმის მიზნები თავსებადია მისიასთან და დასაბუთია მიზნის მისაღწევი ამოცანები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს მის ერთ წელს. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის სექტემბრიდან და იგი არ ეყრდნობა ყოველწლიურ თვითშეფასებას, თუმცა სკოლა გეგმავს მეორე წლის სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს წინა წლის შედეგები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და იგი მოიცავს განხორციელებად ამოცანებს. ვადები არის რეალისტური. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, რისი განხორციელებაც მოუწევს სკოლას მოცემული წლის განმავლობაში. წლის მიზნები არის მიღწევადი და გაზომვადი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 3 დირექტორის ბრძანება 1.2.1.1

დანართი N 4 სტრატეგიული გეგმა 1.2.1.2

დანართი N 5 ერთწლიანი გეგმა 1.2.1.3

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. ავტორიზაცია პირველადია და აღნიშნული კომპონენტი არ შეფასდება
3. ავტორიზაცია პირველადია და აღნიშნული კომპონენტი არ შეფასდება
4. ავტორიზაცია პირველადია და აღნიშნული კომპონენტი არ შეფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლას შიდა ბრძანებით დამტკიცებული აქვს სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დიციპლინური კომიტეტის და სკოლაში გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულებები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილია როგორც შინაგანაწესში, ასევე ხელშეკრულებებში და დებულებებში, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N6 დებულებები 3.1.1.1

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ პირთა ეფექტიან მართვას და მათ პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. კვლევის საფუძველზე ხდება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა და დახმარების მიზნით პირდაპირი ჩართულობა მასწავლებელთა ყოველდღიურ საქმიანობაში: რესურსების მოძიება, მხარდაჭერა თითოეული თანამშრომლისათვის. პერსონალური ყურადღების მიქცევა თანამშრომლებს პრობლემის მოგვარების საშუალებას აძლევს. აღნიშნულს არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შესაბამისი დოკუმენტით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას აქვს პედაგოგიურ საბჭოზე განხილული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას გათვალისწინებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის №68 დადგენილების მოთხოვნები. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. შერჩევა ხდება ორ ეტაპად: აპლიკანტის შემოტანილი განცხადების გადარჩევისა და გასაუბრების საფუძველზე. პერსონალის მიღების შემდეგ მათთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის დანიშვნისას იხსნება პირადი საქმე. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. სკოლის პერსონალი კვალიფიცირებულია და შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რაც მტკიცდება პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებით. სკოლას ჰყავს უსტატუსო მასწავლებელი, რომელიც მოწვეულის სტატუსით სარგებლობს და იგი აყვანილია დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ თანამდებობაზე პერიოდულად ცხადდება ვაკანსია. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 3 მასწავლებელი, 3 მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენელი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. სკოლაში არის კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მოსწავლეებსა და სკოლაში დასაქმებულ პირებს ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. სკოლაში არსებობს კათედრები, სადაც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც წარმატებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციის გამოქვეყნებაა შესაძლებელი. სკოლას ჰყავს „კინგის“-ს ოლიმპიადის წარმატებული მონაწილეები ქართულ ენასა და მათემატიკაში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ინტელექტის ოლიმპიადაში წარმატებული მონაწილეები. სარაიონო-სასკოლო სპორტულ შეჯიბრებებში (ჭიდაობა და ჭადრაკი) მოპოვებული წარმატებისთვის სპორტის მასწავლებელი და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით და წარმატება გამოქვეყნებულ იქნა სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლის გუნდმა წარმატებით იასპარეზა რაიონულ ინტელექტუალურ თამაშებში, (რა? სად? როდის?) რაც, სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის შედეგია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 7 პერსონალის მართვის პოლიტიკა 3.1.2.2

დანართი N 8 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა 3.1.2.3

დანართი N2 სტ 1 პედსაბჭოს ოქმი N1 3.1.2.5

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა საკუთარ პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებლების თვითშეფასება. სკოლა საჭიროების მიხედვით მასწავლებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს. სკოლაში ფუნქციონირებს შიდა შეფასებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საჯარო სკოლის ბაზაზე ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ შეივსება.
3. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ და კარიერულ ზრდას. ჰყვავს ორი USAID საბაზისო განათლების პროექტის ლიდერი მასწავლებელი. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას და იზიარებს მათ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. აცნობს საკანონმდებლო სიახლეებს და ეხმარება რესურსების მოძიებაში. მასწავლებლები იმაღლებენ სტატუსს და აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რაც მოიცავს რამდენიმე ეტაპს. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. „პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან“, ხდება ახალი წევრის სკოლის დახურულ ჯგუფში გაწევრიანება, საჭირო რესურსებით

უზრუნველყოფა და სხვა... სკოლა ინტერვიუს დროს ყველა სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს ახალ თანამშრომელთან მიმართებაში. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა მუდმივად ახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინიციატივას. სკოლას ჰყავს წამყვანი მასწავლებლები, რომელთა ინიციატივით შექმნილი ჯგუფი მუდმივ დახმარებას უწევს უფროს მასწავლებლებს პროფესიული განვითარების მიმართულებით. ინიციატორებს სკოლის დირექცია აჯილდოებს მადლობის სიგელით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 9 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა 3.2.1.1.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;



2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით და სკოლის მისიის და მიზნების შესაბამისად. სკოლა აქვს შიდა ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა არსებობს როგორც უსაფრთხო ფიზიკური გარემო, ელ. ენერგიით, გათბობის ცენტრალური სისტემით, უწყვეტი ინტერნეტით. მმართველობითი პროცესები დელეგირებულია. სკოლის თანამშრომლები მონაწილეობენ სკოლის მართვაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მმართველობის დამხმარე პროცესებად სკოლა განიხილავს მშობელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესახებ, როგორცაა სასწავლო და სოციალური პროექტები, ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მომზადების მექანიზმი და სხვა. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია მშობლები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას შიდა ბრძანებით დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. სკოლის შინაგანაწესში და ხელშეკრულებებში გაწერილია დასაქმებულისა და დამსაქმებელის უფლებები და მოვალეობები. სკოლას ჰყავს დისციპლინარული საბჭო, სადაც თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი როგორც მასწავლებელი, ასევე მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 10 გასაჩივრების წესი 3.3.1.3

დანართი N 11 შინაგანაწესი 3.3.1.3 3.3.1.4

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საგანმანათლებლო მომსახურებისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსებისათვის სოციალური ქსელი, განცხადებების დაფა, საინფორმაციო დაფა. ასევე, დამრიგებლების მიერ ხდება მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, მშობლებთან პერიოდულად შეხვედრებით, სადაც ხდება სკოლაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობა. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლაში სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სათათბირო ორგანოებში, კერძოდ: სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში და ა.შ... თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი როგორც მასწავლებლები, ასევე მშობლები და მოსწავლეები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 12 მშობელთა კრების ოქმი 3.3.2.1

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ფიზიკურ უსაფრთხოებასა და დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი, ხოლო ცეცხლმაქრები განთავსებულია ორივე სართულზე, ასევე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. 2022 წლის 20/12 მოხდა სსიპ ვანის

- მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის შენობის დეტალური სახანძრო - ტექნიკური შემოწმება. შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების „ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სავალდებულოა რიგი ღონისძიებების განხორციელება, რისთვისაც სკოლამ წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გაფორმდა ხელშეკრულება და **უახლოეს მომავალში მოხდება პრობლემის მოგვარება, კერძოდ (19/04/2025-დან 19/04/2025-მდე) პერიოდში . სკოლაში შექმნილია სტუმრის აღრიცხვის ჟურნალი, სადაც აღირიცხება მოსული სტუმარი თავისი ხელმოწერით. სკოლა ამჯერად ამუშავებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, ასევე გაგზავნილია მოთხოვნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, ელოდება საბოლოო დასკვნას. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს, რომ პრობლემას მოაგვარებს (04/03/2024-დან 04/03/2025-მდე) მოცემულ ვადებში, შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები **მეტწილ შესაბამისობაშია.****
2. სკოლას აქვს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, ჰყავს კვალიფიციური ექიმი და მომარაგებულია სათანადო მედიკამენტებით. კაბინეტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის მიერ მომზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები და დამრიგებლები. ისინი აკონტროლებენ შემომსვლელ და გამსვლელ სტუმარს, იცავენ შიგა პერიმეტრზე სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების წესებს. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ამ პროცესში აქტიურად ჩართოს მოსწავლეები და თითოეულ კლასში აირჩიოს წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ამჟამად სკოლაში არ არის სათვალთვალო კამერები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დირექცია და სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი. საჭიროების შემთხვევაში სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლას ჰყავს არასამტატო ერთეულით დასაქმებული ორი დამლაგებელი და ორი სოციალური პროგრამით დასაქმებული დამლაგებელი. სკოლას გაწერილი აქვს სანიტარული კვანძების დასუფთავების გრაფიკი. სანიტარულ ზედამხედველობას უწევს სკოლის ექიმი. ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების დროს სკოლის სანიტარული/ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, მას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. მშობელთა ხელშეკრულებებში გაწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების თანხმობის შესახებ. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლაში პირადი მონაცემები დაცულია და მასზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 13 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი 3.4.1.3

დანართი N14 სანიტარული კვანძების დასუფთავების გრაფიკი 3.4.1.5

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შეუძლია განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა ავტორიზაციის პერიოდის განმავლობაში. ვიზიტამდე სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც სტანდარტი დახარვეზებული იყო წიგნადი ფონდის შესანახი სივრცის არ არსებობის გამო, თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს 18 მ² ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ოთახი, წიგნები განაწილებულია თაროებზე, ხელმისაწვდომია იგი მომხმარებელისთვის. სკოლას აქვს დიდი რაოდენობით მხატვრული ლიტერატურა, რომლებიც წლების წინ გადმოცემულია სასოფლო ბიბლიოთეკიდან. აღნიშნული წიგნები, დამატებითი ფართის არქონის გამო, დასაწყობებულია სარდაფში, აღნიშნული წიგნები ამ დროისათვის მთლიანად დაზიანებულია, შეუძლებელია მათი გამოყენება დაზიანების ხარისხის გამო და ექვემდებარება ჩამოწერას, გამომდინარე აქედან, ბიბლიოთეკის არსებული ფართი საკმარისია სკოლის მიზნების განხორციელებისათვის. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას აქვს 12 ლეპტოპი და ერთი პერსონალური კომპიუტერი, ოთხი პროექტორი, სამი პრინტერი. მათი მოხმარების განრიგს არეგულირებს სასწავლო ნაწილი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის ფართი მცირე ზომის, თუმცა იგი მოწესრიგებულია, ჰყავს ბიბლიოთეკარი, შიდა ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. აღრიცხული აქვს სახელმძღვანელოები და აწარმოებს სახელმძღვანელოების გაცემა-დაბრუნების ჟურნალს. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პირველ სართულზე, შესასვლელში, დამონტაჟებულია პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები. პირველ სართულზეა განლაგებული რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი. სკოლის მე-2 სართულზე ასასვლელი არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლისათვის. სკოლის მე-2 სართულზე განლაგებულია საერთო სარგებლობის სივრცე, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი სააქტო დარბაზის დანიშნულებით გამოყოფილი სივრცე და რამდენიმე საკლასო ოთახი. სკოლას თავად აქვს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი (19/04/2024-დან 19/04/2026-მდე) პერიოდში პრობლემის მოგვარება შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. იმისათვის, რომ დაიგეგმოს სხვადასხვა სასკოლო თუ კლასგარეშე აქტივობა, სკოლას არ აქვს გამოყოფილი ოთახი სააქტო დარბაზისათვის, მაგრამ შენობაში არის სივრცე, ფართო ფოიე, სადაც სკოლა მართავს სხვადასხვა ღონისძიებებს, იყენებს როგორც სააქტო დარბაზს. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N15 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 3.5.1.1

დანართი N 16 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი 3.5.1.3

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინტერნეტი, თორმეტი ლეპტოპი, ერთი პერსონალური კომპიუტერი საქმის მწარმოებლისათვის, ოთხი პროექტორი, სამი პრინტერი. ისტ-ის კაბინეტისათვის გამოყოფილია ფართი, სადაც დამონტაჟებულია ინტერნეტ კვანძისათვის საჭირო მოწყობილობები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გამო, მათი მოხმარების რეგულირებას და ყველასათვის ხელმისაწვდომობას ზედამხედველობას უწევს დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში. იგი ადგენს მოქნილ განრიგს ტექნოლოგიების თანაბრად მოხმარების მიზნით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

- სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. სკოლაში წარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მეშვეობით. სკოლაში იწარმოება შემოსული და გასული დოკუმენტების, საკადრო და საერთო ბრძანებების და ხელშეკრულებების აღრიცხვა შესაბამის დალუქულ ჟურნალებში. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
- სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება გამართული თანამდეროვე ტექნოლოგიები: eflow.emis.ge სისტემა, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სკოლის ელექტრონული ფოსტა zedavani@mes.gov.ge შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
- სკოლას აქვს გამართული, სრულყოფილი პროფილი, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ, საგნების განაწილება, გაკვეთილების ცხრილი, სკოლის ბარათი, საშტატო განრიგი. შესაძლებელია მოსწავლეთა მობილობისა და სახელმძღვანელოების შერჩევა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
- ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას, ძირითადად, დროულად ჰქონდა მიწოდებული უკუკავშირი მარეგულირებელ უწყებებთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N17 საქმისწარმოების წესი 3.6.2.1

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

- სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
- სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია აუცილებელი ინფორმაცია სკოლის შესახებ. ასევე, სარგებლობს სოციალური ქსელით. სკოლა აქტიურად იყენებს საინფორმაციო დაფას, სადაც ინფორმაციას ორიგინალური გაფორმებით წარმოადგენენ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის ატვირთვა-გაახლება ხდება პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც განსაზღვრულია სკოლის შიდა ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.
4. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე და შესაბამისად, სკოლის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ვებ გვერდზე სკოლის შესახებ განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

[სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](http://emis.ge)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

